დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: გიორგი მომცელიძე წევრ(ებ)ი: ირინა დვალი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ყუჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	,,ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსი“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	406243514

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, გრიშაშვილის ქ. N51
საფოსტო ინდექსი	0114
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://www.schoolintellectplus.ge/ka/about
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	intellectplius@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	0322720572

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 3 25 0001635871 18/11/2025
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	18-19 დეკემბერი, 2025

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 18 ნოემბრის MES 3 25 0001635871 ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი შპს ,,ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსში“

ექსპერტთა ჯგუფის გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი სკოლაში განხორციელდა 2025 წლის 18 და 19 დეკემბერს. გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ა)“, „გ)“ და „დ)“ სტანდარტების შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. განხორციელდა ინტერვიუები სკოლის დირექციასთან, ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, ინტერვიუებმა ექსპერტებს საშუალება მოგვცა მოგვეპოვებინა საჭირო ინფორმაცია ავტორიზაციის სტანდარტების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით. ვიზიტის ორივე დღემ ჩაიარა საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის სამივე სტანდარტის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, შეაფასა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი. დასასრულს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გაუზიარეს ის მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები და რჩევები დეტალურადაა აღწერილი დასკვნაში .

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
470	**439**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

(გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე).

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევების თაობაზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევები, კერძოდ:

ა)ინდიკატორი №3.1.2.1 - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები და სკოლაში თანამშრომლის მიღებისთვის (გარდა მასწავლებლის/მასწავლებლის მაძიებლის/სამედიცინოპერსონალის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის/სამედიცინო პერსონალისა) განისაზღვრა გასაუბრების კრიტერიუმები;

ბ) ინდიკატორი №3.1.2.3 -დასაქმებულს (დაკავებული პოზიციის შესაბამისად) განესაზღვრა ვალდებულება საქართველოს კანონებით ,,ზოგადი განათლების შესახებ“ და ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის No463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები ,,უფლების ჩამორთმევის შესახებ“ სკოლას წარუდგინოს ხელშეკრულების გაფორმებამდე.

გ) ინდიკატორი №3.5.1.4. სკოლის შენობის პირველ სართულზე კომპიუტერული ლაბორატორიის ჩამოტანის მიზნით სამეურნეო ნაწილის გამგეს დავალა საკითხის შესწავლა და შესაბამისი პროექტის, ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა და ლაბორატორიის გადატანის პროცესის დასრულება 2026 წლის 15 მარტამდე.

აღსანიშნავია, რომ სკოლას არგუმენტირებულ პოზიციაში არ წარმოუდგენია ექსპერტთა რჩევების გაზიარების თაობაზე შესაბამისი მტკიცებულებები. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რჩევები კვლავ დაეტოვებინა საბოლოო დასკვნაში.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გამომდინარე იქიდან, რომ არგუმენტირებული პოზიციის წერილს თან არ ახლდა შესაბამისი მტკიცებულებები. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა სამივე რჩევა კვლავ დატოვა საბოლოო დასკვნაში.

X. ინფორმაცია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შესახებ (ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

გთხოვთ, ასახოთ ინფორმაცია შეცვლილ მისამართზე/ფართზე კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის წარმოების დროს)

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*

მოსწავლეთა რაოდენობა: ----------	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი №		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი №3.1.2.1	პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას	პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში თანამშრომლის მიღება, გარდა მასწავლებლის/მასწავლებლის მაძიებლის/სამედიცინოპერსონალის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის/სამედიცინო პერსონალისა, ხდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზითაც. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს წინასწარ გაწერილი კრიტერიუმები და გასაუბრების შედეგები მტკიცებულების სახით.
ინდიკატორი №3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	მნიშვნელოვანია, სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღნიშნოს, რომ დასაქმებული (დაკავებული პოზიციის შესაბამისად) ვალდებულია სკოლას საქართველოს კანონებით ,,ზოგადი განათლების შესახებ“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ სკოლის დირექციას წარუდგინოს ხელშეკრულების გაფორმებამდე.

ინდიკატორი №3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	შენობის პირველი სართული ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია ინკლუზიური მოსწავლისათვის. გამონაკლისს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც მდებარეობს მეორე სართულზე. საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში, სკოლამ შენობის პირველ სართულზე უნდა ჩამოიტანოს კომპიუტერული ლაბორატორია.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია	
ინდიკატორი N3.3.1.3	სკოლაში არსებობს მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს „მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ სკოლის გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ეფექტური სისტემის შექმნა“ შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადაში 20.12.2024	**შესრულებულია** სკოლაში მოქმედებს განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. დოკუმენტში განსაზღვრულია განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოები და მისი განხილვის ვადები, მოსწავლეთა საჩივრის განხილვის წესი, უფლების დარღვევის შემთხვევაში, თანამშრომლის მიღების მიზნით სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი, შიდა სასკოლო გამოცდის

			შედეგების გასაჩივრების წესი.
ინდიკატორი N3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს „თავისი სასკოლო საზოგადოებისათვის, თავისივე რესურსის აქტიურად გამოყენების და ამ საზოგადოების შიდა პროცესებში მეტი ინკლუზიის მეშვეობით სკოლა ქმნის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს.“ შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადაში 30.06.2025	**შესრულებულია** სკოლაში მოსწავლეების სწორი ქცევითი ჩვევების განვითარებაზე, ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ჩამოყალიბებაზე მუშაობს მთელი სკოლა: დირექტორი, სკოლის ფსიქოლოგი, დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები. კლასის დამრიგებლების სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ურთიერთობის საკითხებზე მსჯელობა, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნა. სკოლის მანდატურის სამსახურის ჩართულობით მოქმედებს რეფერირების წესი. ინტერვიუს დროს მშობლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათთვის სკოლა ფიზიკურად და

			ფსიქოლოგიურად უსაფრთხო და დაცულ გარემოს წარმოადგენს. მთლიანად სკოლა და განსაკუთრებით კი დამრიგებლები განსაკუთრებულ მხარდაჭერას გამოხატავენ მოსწავლეთა მიმართ. მოსწავლეებმაც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი პოზიტიური განწყობით მოდიან სკოლაში.

სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია	
ინდიკატორი N4.1.1.1	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს „ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებაზე, რომელიც უფლებამოსილი იქნება, სკოლის დირექტორის მიმართვის საფუძველზე განიხილოს დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ფაქტები, ასევე, მის კომპეტენციას მიკუთვნებული განცხადება/საჩივრები და წარმოადგინოს წერილობითი სახის დასკვნა“ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 20.12.2024	**შესრულებულია** სკოლა შიდა რეგულაციების მეშვეობით უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და შესაბამისი გარანტიების რეალიზებას. სკოლის შინაგანაწესი შინაგანაწესი განსაზღვრავს სასკოლო ცხოვრების მარეგულირებელ ძირითად ნორმებს, მათ შორის: ზოგად დებულებებს, სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, მოსწავლეთა წახალისების წესს, დისციპლინური დევნისა და პასუხისმგებლობის სახეებს, დისციპლინური სახდელების დაკისრების წესს, მოსწავლის მატერიალურ პასუხისმგებლობას,

			განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესს, ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზების მარეგულირებელ ნორმებს. მოსწავლის, მშობლისა და კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომელიც განსაზღვრავს ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, სასწავლო და დასვენების პერიოდებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და შეწყვეტის წესს, ასევე დავის გადაწყვეტის მექანიზმებს.

			ასევე სკოლის დირექტორის 2025 წლის 12 დეკემბრის N 2-55/4 ბრძანებით დამტკიცდა შპს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსში“განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. სკოლის დირექტორის 16.12 2024 წლის 2-31და 12.12.2025 წლის 2-55/3 ბრძანებებით შეიქმნა სკოლის დისციპლინური კომიტეტი, რომელშიც შედიან სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების წარმომადგენლები. სკოლის დირექტორის 2024 წლის 09 დეკემბრის N 2-28/2ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულება

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისიაა: შექმნას პროფესიონალიზმის ზრდადობაზე დაფუძნებული, ჯანსაღი სასწავლო გარემო როგორც ქართული, ისე საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკური ჯგუფების, მათ შორის, არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის სკოლის მიერ შეთავაზებული ზოგადსაგანმანათლებლო სერვისების მიწოდების გზით - მიიღონ თანამედროვე ტიპის განათლება, მათი საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით გამოავლინონ და განავითარონ თავიანთი პოტენციალი და მოახდინონ ინტეგრაცია მსოფლიო და ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხედვა:შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსი, 2030 წლის ბოლომდე გეგმავს, სკოლაში არსებული მატერიალური და ინტელექტუალური რესურსის სრული მოდერნიზაციით, ასევე, ღია და გამჭირვალე გზით მოძიებული კვალიფიციური კადრების მეშვეობით თავისი მოსწავლეების, მშობლების და სასკოლო თემსათვის უზრუნველყოს საქართველოს ისტორიულ-ეროვნულ კულტურასა და ტრადიციებზე დაფუძნებული, წარმატებული საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება, რის საფუძველზეც ჩვენი სკოლა გახდება ზოგადი განათლების სერვისის თვალსაჩინო მიმწოდებელი ქვეყანაში მცხოვრები, უცხო ენაზე განათლების მიღების მსურველი არაქართულენოვანი მოსწავლეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.“

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა ძირითადად ორიენტირებულია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენლებზე, რომლებსაც სთავაზობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მომსახურეობას. სკოლას თავისი როლი განსაზღვრული აქვს გააზრებული აქვს მოსწავლეთა საჭიროებები და ქმნის მათთვის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს. სკოლა მულტიკულტურული სასკოლო საზოგადოებისათვის ცდილობს შექმნას უსაფრთხო, კეთილგანწყობილი სასკოლო გარემო. სკოლაში დამკვიდრებული ღირებულებები ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის არსებობას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა რომლის შემადგენლობაშიც იყო დირექტორი მოადგილე (ჯგუფის ხელმძღვანელი), სასწავლო პროცესის კოორდინატორი, კათედრის ხელმძღვანელი, მშობელთა კომიტეტის ხელმძღვანელი და მოსწავლეთა თვითმართველობის თავმჯდომარე, იმუშავა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზიაზე. ჯგუფთან გამართული გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მათ ფილოსოფიის განახლებული ვერსიის შემუშავებამდე ჩაატარეს ინტერვიუები მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან, იმის დასადგენად, თუ როგორი სკოლა სურთ მათ, რაც ვიზიტის ფარგლებში სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გაკეთებულმა განცხადებებმაც დაადასტურა. სამუშაო ჯგუფის მიერ უზრუნველყოფილი იქნა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, ხოლო მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ჯგუფმა შეიმუშავა დოკუმენტის საბოლოო ვერსია.
სკოლამ პროცესის დადასტურების მიზნით წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, სასკოლო საზოგადოებასთან გამართული შეხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები და გამოკითხვის კითხვარის ნიმუში, რაც ადასტურებს, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაზე პასუხისმგებელმა სამუშაო ჯგუფმა ინტერვიუს დროს განმარტა, რომ ფილოსოფიის წინასწარ შემუშავებული ვერსია, პროექტი, წარადგინეს როგორც პედაგოგიური გუნდის, ასევე მშობლების წინაშე საერთო კრების ფარგლებში, რითაც უზრუნველყოფილი იქნა ინფორმაციის გაზიარება. სამუშაო ჯგუფის წევრების განცხადებით, სასკოლო საზოგადოების მხრიდან ფილოსოფიის პროექტის შესახებ შენიშვნები არ დაფიქსირებულა. მშობლებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ფილოსოფიის გაზიარების ფაქტი. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა ხელმოწერები, რაც ადასტურებს, მათ ჩართულობას სკოლის ფილოსოფიის განხილვაში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია და ხედვა საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ის გნთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე
https://www.schoolintellectplus.ge/ka/about
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება, შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსი, შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს სკოლა

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია ხედვა და ღრებულებები

- სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ამონაწერი მეწარმეთა რეესტრიდან;
- ინტერვიუ დირექციასთან.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, სამოქმედო გეგმების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემუშავების მეთოდოლოგია დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2024 წლის 21 თებერვლის N11/1

ბრძანებით. დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარების პროცესის ძირითად ეტაპებს და აცხადებს თანამონაწილეობით პრინციპის დაცვას, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და მათი პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას დაგეგმვის პროცესში. მეთოდოლოგიის მიხედვით, დაგეგმის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა გამოიხატება სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე სხვადასხვა წარმომადგენლების ერთობლივი მუშაობით, შემდგომ ეტაპზე კი შემუშავებული პროექტის გაზიარებით და უკუკავშირის მიღებით. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლა მეთიდოლოგიით განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, რაც ადასტურებს დაგეგმვის ციკლურ ხასიათს.

სტრატეგიული განვითარების გეგმაში წარმოდგენილია სკოლის მიზნების ჩამონათვალი, გამოყოფილია პრიორიტეტული მიმართულებები და შემდეგ ამოცანების მიხედვით ჩაშლილია აქტივობებში. მითითებულია განხორციელების ვადები. სტრატეგიული გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, იმეორებს სტრატეგიულ გეგმაში გაწერილ აქტივობებს და აზუსტებს სასწალო წლის მანძილზე განხორციელების ვადებს. სკოლის ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია წინა წლის ერთწლიანი გეგმის შესრულების ანგარიშის შედეგები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძანება N11/1, 21.02.2024)
2. შვიდწლიანი სტარტეგიული განვითარების გეგმა
3. 2025-2026 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
4. 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. სტრატეგიული დაგეგმვის, სამოქმედო გეგმების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია როგორც სტრატეგიული გეგმის, ისე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეფასების მექანიზმები და შესაბამისი ვადები. დოკუმენტის თანახმად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ივნისში, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება მისი მოქმედების პერიოდში ორჯერ - შუა ეტაპზე და გეგმის დასრულებისას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის პერიოდულ კონტროლსა და შედეგების შეფასებას. მეთოდოლოგიაში მონიტორინგი და შეფასება განმარტებულია, როგორც მტკიცებულებების წარმოდგენისა და მათი ანალიზის პროცესი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც მიუთითებს შეფასების თანამონაწილეობით ხასიათზე და ზრდის პროცესის გამჭვირვალობასა და სანდოობას. სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, სადაც დასტურდება ყოველწლიურად ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი ფაქტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში, ასევე პედსაბჭოს სხდომის ოქმი სადაც მოხდა ანგარიშის და ახალი ერთწლიანი სამოქმდო გეგმის წარდგენა და განხილვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა. ის განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლამ წარმოადგინა მონიტორინგის კომისიის და ასევე პედაგოგიური საბჭს სხდომის ოქმები, სადაც განხილული იქნა ერთწლიანი გეგმის შესრულების ანგარიში და მიღებული იქნა გადაწყვეტილება შედეგებიდან გამომდინარე რა საკითხები ასახულიყო ახალ ერთწლიან გეგმაში. შესაბამისად, 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია რეკომენდაციები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძანება N11/1, 21.02.2024)

2. 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში მოქმედებს სკოლის დებულება, რომელშიც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. დებულებაში გაწერილია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

<u>დირექცია</u>: დირექტორი, სასწავლო - აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილე, არაფორმალური განათლების დარგში დირექტორის მოადგილე, დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში

<u>სკოლის ადმინისტრაცია</u>: სასწავლო პროცესის კოორდინატორი, სამეურნეო ნაწილის გამგე, ადმინისტრაციულ-საკონცელარიო საქმეთა მენეჯერი, ბუღალტერიის საქმისმწარმოებელი, არაფორმალური განათლების დარგში დირექტორის მოადგილის თანაშემწე, ადამიანური რესურსის მართვის სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, მულტიმედიამენეჯერი, საიტის ადმინისტრატორი, იურისტი, ექიმი, ბიბლიოთეკის გამგე, ფსიქოლოგი, შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერი;

<u>დამხმარე პერსონალი: ს</u>ამეურნეო ნაწილის გამგის თანაშემწე, დამლაგებელი, სკოლის დარაჯი, მუშა, ლაბორანტი, კომპიუტერული კაბინეტის მეთვალყურე, კონტროლიორი, მორიგე ადმინისტრატორი, IT მენეჯერი;

<u>სკოლის პედაგოგიური საბჭო: მ</u>ასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო, რომელშიც შედის სკოლის ყველა მასწავლებელი

<u>სკოლის დისციპლინური კომიტეტი:</u>

<u>სკოლის მშობელთა კომიტეტი:</u> ყოველი კლასის მშობელთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომიტეტი.

<u>მოსწავლეთა თვითმმართველობას:</u> სკოლის შემადგენლობაში არსებული მოსწავლეთა წარმომადგენლობითი ორგანო.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სტრუქტურული ერთეულებისა და სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები და დასაქმებული პირები მოქმედებენ სინქრონულად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის დებულება

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: კადრების მოზიდვა და შერჩევა. კონკურსი; მასწავლებლის შერჩევა კონკურსის გზით; კონკურსის გამოცხადება; კომისიის შექმნის წესი და საქმიანობა; კონკურსის ეტაპები; კონკურსის ჩაშლის/შეწყვეტის საფუძვლები; საპრეტენზიო კომისია; ახალი თანამშრომლის ადაპტაცია; შესრულებული სამუშაოს შეფასება; თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება; თანამშრომელთა მოტივაცია; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. დოკუმენტში გათვალისწინებულია მინისტრის 2015 წლის 20 თებერვლის №68 ბრძანება ,,მასწავლებელის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესახებ“. ვიზიტის დროს გადამოწმდა კონკურსის ეტაპების დამადასტურებელი მტკიცებულებები და დადგინდა, რომ სკოლა ზედმიწევნით ასრულებს საკუთარ რეგულაციებს. თანამშრომლებთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში თანამშრომლის მიღება, გარდა მასწავლებლის/მასწავლებლის მაძიებლის/ სამედიცინო პერსონალის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის/სამედიცინო პერსონალისა, ხდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზითაც. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს წინასწარ გაწერილი კრიტერიუმები და გასაუბრების შედეგები მტკიცებულების სახით.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლაში მოქმედებს შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლებშიც განსაზღვრულია საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის საკითხები. შინაგანაწესში (მუხლი 4. სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადობლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი) აღნიშნულია პრევენციული ღონისძიებეები, კერძოდ: წინასწარ ცნობილი მიზეზით, სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ (წინა დღეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი სამუშაოს დაწყებამდე მინიმუმ 1 (ერთი) საათით ადრე), გააფრთხილოს სკოლის დირექტორი/დირექტორის მოადგილე გამოუცხადებლობის შესახებ, სამუშაო ადგილზე არყოფნის სავარაუდო პერიოდის თაობაზე, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით; ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის (სამედიცინო ან ოჯახური პირობები) გამო სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა ან სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია გონივრულ ვადაში, შესაძლებლობისთანავე აცნობოს სკოლის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს გამოუცხადებლობის სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაოს გაცდენის შესახებ.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (მუხლი 6. საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა) ნათქვამია, რომ პერსონალის ინტერვენციული მართვის მიზნებისთვის ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის სამუშაო აღწერილობა გათვალისწინებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს ურთიერთჩანაცვლების საკითხი, რათა საჭიროების შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვ.) მიზნობრივად იქნას ფუნქციების დელეგირება სხვაზე იმგვარად, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე მართვისა თუ ოპერაციული პროცესები. გარდა ამისა, მასწავლებლის მიერ თავისი ვალდებულების ვერ შესრულების შემთხვევაში, სკოლა ახორციელებს მის ჩანაცვლებას. ჩანაცვლება ხორციელდება შესაბამისი საგნის მასწავლებლით. შესაბამისი საგნის მასწავლებლით ჩანაცვლების შეუძლებლობის შემთხვევაში, ჩანაცვლება ხორციელდება საგნობრივი ჯგუფის ან/და სხვა საგნის მასწავლებლით ან/და სადამრიგებლო საათით. ხანგრძლივი ვადით მასწავლებლის მიერ თავისი ვალდებულების ვერ შესრულების შემთხვევაში

შესაძლებელია შემცვლელი მასწავლებლის მიღება. ჩანაცვლება ტარდება ჩანაცვლების ჟურნალში და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლაში პერსონალის მოზიდვა ხორციელდება ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის" შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა პერსონალის შერჩევის (კონკურსის გამოცხადების, კომისიის შექმნის, ახალი თანამშრომლის ადაპტაციის, შესრულებული სამუშაოს შეფასების, თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და თანამშრომელთა მოტივაცია; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის) დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის ყველა პერსონალს ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33[1]-ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ", ასევე ცნობა ნასამართლობის შესახებ მასწავლებლების შემთხვევაში (საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ", მუხლი 21). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: მნიშვნელოვანია, სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღნიშნოს, რომ დასაქმებული (დაკავებული პოზიციის შესაბამისად) ვალდებულია სკოლას საქართველოს კანონებით ,,ზოგადი განათლების შესახებ" და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ" სკოლის დირექციას წარუდგინოს ხელშეკრულების გაფორმებამდე.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლა მასწავლებელთა შერჩევისას ხელმძღვანელობს 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' შესაბამისად, ხოლო სხვა თანამშრომელთა შერჩევისას მის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის შესაბამისად, რომელიც სკოლას გაწერილი აქვს თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებში.

სკოლას ჰყავს სულ 45 საგნის მასწავლებელი, აქედან 39 უფროსის სტატუსის მქონე, 2 წამყვანი და 4 მოწვეული მასწავლებელი.

სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. ექიმს აქვს პედიატრის კვალიფიკაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის (მისიისა და ხედვის, სტრატეგიული გეგმის) შემუშავების, გადახედვის მიზნით შექმნილი ჯგუფების მუშაობის დამადასტურებელი მასალები, პედაგოგიური საბჭოების და კათედრების ოქმები. ეს ყველაფერი ნათელი მაგალითია იმისა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები. სკოლაში არის გაზიარებული ლიდერობა და სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

შინაგანაწესის მე-10 მუხლის მიხედვით, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლების წახალისებასთან დაკავშირებული დირექტორის ბრძანებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი

სკოლის ფილოსოფიის (მისიისა და ხედვის, სტრატეგიული გეგმის) შემუშავების, გადახედვის მიზნით შექმნილი ჯგუფების მუშაობის დამადასტურებელი მასალები
პედაგოგიური საბჭოსა და კათედრების ოქმები.
თანამშრომელთა ბაზის მონაცემები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, რომელშიც განსაზღვრულია მასწავლებლის შეფასება, კათედრის ხელმძღვანელის შეფასება, დამრიგებლის შეფასება, ტექნიკური პერსონალის შეფასება, შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის პერსონალის შეფასებისა და განვითარების მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელმაც ვიზიტის დროს წარმოადგინა 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა, შეხვედრების ოქმები. სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლებმა განახორციელეს თვითშეფასება, რომლის საფუძველზე შეადგინეს პროფესიული განვითარების გეგმა. დოკუმენტის მიხედვით გამოყოფილია 3-3 საჭიროება. ვიზიტის დროს ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფმა წარმოადგინა გაკვეტილებზე დასწრების განრიგი, მასწავლებლეთა ანკეტირების შედეგები წარმოდგენილი ცხრილების სახით.

სკოლა მნიშვნელოვნად მიიჩნევს სხვა პერსონალის საჭიროებათა კვლევასაც. მიმდინარე წელს სკოლამ ჩაატარა ადმინისტრაციის წევრთა ანონუმური გამოკითხვა, სულ ჩართული იყო 7 თანამშრომელი. დირექციის განმარტებით, შედეგები გათვალისწინებული იქნება და თანამშრომლები გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით აიმაღლებენ კვალიფიკაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

პროფესიული განვითარების გეგმის მიხედვით, სკოლის 10 მასწავლებელი დაესწრო საქართველოს განათლებისა და ბიზნესის ეროვნული აკადემიის ტრენინგს: ,,სწავლა და სწავლება დაწყებით საფეხურზე, კვლევაზე დაფუძნებული სტრატეგიები.“ არაფორმალური განათლების ცენტრში დაგეგმილი ტრენინგი თემაზე: ,,მასწავლებლის გაძლიერების პროგრამა“ გაიარა 21 მასწავლებელმა, ხოლო ტრენინგს ,,ხარისხის მართვა და კონტოლი ზოგსაგანმანათლებლო დაწესებულებაში“ დაესწრო 2 თანამშრომელი. აღსანიშნავია, რომ სკოლა თავად ფარავს ტრენინგების ხარჯებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია ახალი თანამშრომლის სასკოლო გარემოში ინტეგრაციისა და ადაპტაციის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია ადაპტაციის მიზნით გაწერილი საქმიანობები ეტაპების, კვირების, მიხედვით, პასუხისმგებელი პირების აქტივობები. ვიზიტის დროის სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება მაქსიმალური მცდელობა თანამშრომლისთვის ადაპტაციის ხელშეწყობის, კერძოდ: ფსიქოლოგთან გასაურებები, ,,თიმბილდინგში“ მონაწილეობა, მასწავლებლის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებში ახალი მასწავლებლების ჩართვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლების იდეების რეალიზებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლემა აღნიშნეს, რომ სასკოლო სივრცეში მათ აქვთ ურთიერთთამშრომლობის საშუალება, საინტერესო საკთხებზე მსჯელობა. დირექცია ყოველთვის ინტერესით ეკიდება ინიციატივებს, ყოველმხრივ ცდილობს თანადგომას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის მასალები

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი-ახალი თანამშრომლის სასკოლო გარემოში ინტეგრაციისა და ადაპტაციის მექანიზმი.

ტრენინგებში თანამშრომლეთა მონაწილეობის ამსახველი სერტიფიკატები

ახალი თანამშრომლების სოციალიზაციის მიზნით ჩატარებული აქტივობების ამსახველი მასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განსაზღვრულია რამდენიმე მიმართულება: სასწავლო პროცესის შეფასება, ადამიანური რესურსის შეფასება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება. ცალკე დოკუმენტად ჩამოყალიბებულია სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკა. ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. იგი ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა გამჭვირვალობა, მონაწილეობითობა, უწყვეტობა და ანგარიშვალდებულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების აღწერი დოკუმენტი, რომელშიც განხილულია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში მოქმედებს განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. დოკუმენტში განსაზღვრულია განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოები და მისი განხილვის ვადები, მოსწავლეთა საჩივრის განხილვის წესი, უფლების დარღვევის შემთხვევაში, თანამშრომლის მიღების მიზნით სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი, შიდა სასკოლო გამოცდის შედეგების გასაჩივრების წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის ყველა თანამშრომელსა და სკოლას შორის, ასევე, სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენლს შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია ორივე მხარი უფლება-მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სკოლასა და მშობლების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული მექანიზმები. ასევე სკოლაში მოქმედებს სკოლის თანამშრომლების, მშობლის და მოსწავლეთა მიმართ სკოლის დირექციის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები, სადაც აღნიშნულია სკოლის თანამშრომელთა კანონიერი უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტის გასაჩივრების ეტაპები და მექანიზმები; მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტის გასაჩივრების ეტაპები და მექანიზმები; მოსწავლის კანონიერი უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტის გასაჩივრების ეტაპები და მექანიზმები; თანამშრომლის მიღების მიზნით სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი; შიდასასკოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების აღწერი დოკუმენტი

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკა

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული განცხადების/საჩივრის განხილვის წესი

სკოლასა და თანამშრომლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება

სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, ღონისძიებების და სასკოლო ექსკურსიების შესახებ. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას და სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციას.

სკოლის ყველა მოსწავლე და მშობელი ფლობს ინფორმაციას საკუთარი და სხვა მოსწავლეების უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ, რის გაცნობასაც უზრუნველყოფს სკოლა დამრიგებლების მეშვეობით. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია მოსწავლესა და მის მშობელთან, რომელიც იგებს ინფორმაციას შვილის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ;

პარასკევ დღეს მშობელს აქვს საშუალება სკოლაში მასწავლებლებისგან სხვადასხვა ინფორმაციის მიღების. სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებებს: ელექტრონულ ჟურნალს, ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელს, ფბ-ს დახურულ ჯგუფებს. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოთა ნუსხას, ასევე იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში. სკოლა სოციალურ ქსელში რეგულარულად აქვეყნებს სასკოლო ცხოვრების ამსახველ მასალებს. ინტერვიუს დროს მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა მაქსიმალურად ყველა საშუალება იყენებს, რათა მათ ჰქონდეთ სრული ინფორმაცია საკუთარ შვილებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები ჩართულნი არიან სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში, მაგ, მასწავლებლები მონაწილეობენ პედაგოგიური საბჭოსა და საგნობრივი კათედრების მუშაობაში, მოსწავლეები თვითმმართველობის წევრები არიან, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, მშობლები ქმნიან სკოლის მშობელთა კომიტეტს. ყველა კოლეგიალური ორგანო მუშაობს. მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს დროს აღნიშნეს, რომ სკოლის

დირექცია მაქსიმალურად ითვალისწინებს თვითმმართველობის ინიციატივებსა და სურვილებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

კოლეგიალური ორგანოების დებულებები და მათი ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ

გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლის შენობა შემოსაზღვრულია ღობით, რითაც დაცულია სკოლის ეზო და შენობა. შენობაში შემოსასვლელს აკონტროლებს კონტროლიორი, რომელიც შენობაში შემოსულ ვიზიტორს ატარებს სპეციალურ ჟურნალში. სკოლის შიდა ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ზრუნავს მანდატურის სამსახური. სკოლას 2025 წლის 31 დეკემბრამდე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მანდატურის სამსახურთან, რომლის თანახმად სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივ წესრიგზე ზრუნავს 2 მანდატური. ისინი შიდა და გარე პერიმეტრს აკონტროლებენ ვიდეო სათვალთვალო სისტემით. საკლასო ოთახებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. სკოლის შენობას აქვს უწყვეტი ელექტროენერგია, შენობის ყველა სართულზე განთავსებულია მოწესრიგებული და გამართული სველი წერტილი (მათ შორის 1 ადაპტირებული) ბიჭებისა და გოგონებისათვის. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა. საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი და ელექტრო განათება.

სკოლას დამტკიცებული და შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (წერილი MIA 6 24 00632527, 01.03.2024).

შენობის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, განთავსებულია ცეცხლმაქრები, საგანგაშო ღილაკები, დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა. სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შეთანხმების წერილი N250 (26.07.2024წ.).

სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. N 50078864, 16.05.2024. დასკვნაში აღნიშნულია, რომ შენობა შეიძლება შეფასდეს როგორც დამაკმაყოფილებელი და ექსპუატაციისათვის უსაფრთხო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში პირველ სართულზე არის სამედიცინო კაბინეტი, რომელიც სრულად აღჭურვილია ყველა იმ ინვენტარით, რომლებიც გათვალისწინებულია მინისტრების ბრძანებით. კაბინეტში არის სველი წერტილი. ექიმი აწარმოებს ბრძანებით გათვალისწინებულ სპეციალურ ჟურნალებს. სკოლაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი.“ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლაში მოქმედებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის
წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, შესაბამისად, მანდატურის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სკოლას ჰყავს მანდატურები და მრჩეველთა საბჭო.სკოლის დირექციასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებულ ყველა სერვისის მიღება დროულად და მყისიერად ხანდახან შეუძლებელი ხდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში მოსწავლეების სწორი ქცევითი ჩვევების განვითარებაზე, ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ჩამოყალიბებაზე მუშაობს მთელი სკოლა: დირექტორი, სკოლის ფსიქოლოგი, დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები. კლასის დამრიგებლების სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ურთიერთობის საკითხებზე მსჯელობა, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნა. სკოლის მანდატურის სამსახურის ჩართულობით მოქმედებს რეფერირების წესი. ინტერვიუს დროს მშობლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათთვის სკოლა ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო და დაცულ გარემოს წარმოადგენს. მთლიანად სკოლა და განსაკუთრებით კი დამრიგებლები განსაკუთრებულ მხარდაჭერას გამოხატავენ მოსწავლეთა მიმართ. მოსწავლეებმაც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი პოზიტიური განწყობით მოდიან სკოლაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში სუფთა ფიზიკური გარემოა. სკოლის დამლაგებლებს გადანაწილებული აქვთ სასკოლო სივრცეები დასამუშავებლად. შენობის სისუფთავეს აკონტროლებს ექიმი და სამეურნეო ნაწილის გამგე, რომელთაც თანამდებობრივ ფუნქციებში აქვთ გაწერილი აღნიშნული მოვალეობა. შემუშავებულია მონიტორინგის ფორმა, რომელშიც ასახულია, რა სამუშაო უნდა შესრულდეს, ვის მიერ და რა ინტენსივობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლას ჰყავს IT მენეჯერი, რომლის ფუნქციებია: სკოლის ინტერნეტ-სერვისებით უზრუნველყოფა; სკოლის ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარება (გაფართოება და მომსახურეობა); სკოლის შიდა ქსელურისა და ინტერნეტ სერვისების უზრუნველყოფა; კომპიუტერის მუშაობასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა; სკოლის საინფორმაციო სივრცის განვითარების ზედამხედველობა; სკოლის

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა; სკოლის უსაფრთხო ვიდეო მეთვალყურეობის შიდა და გარე სისტემების ტეკნიკური მომსახურება.
სკოლაში მოქმედი მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესში გათვალისინებულია კომპიუტერული ტექნიკის უსაფრთხოება. Eschool–ის ელექტრონულ ბაზაში მოსწავლეებისა და თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციას ასახავს ადმინისტრაციული და საკანცელარიო საქმეთა მენეჯერი. მოსწავლეთა პირად საქმეებთან წვდომა აქვს კლასის დამრიგებელს, პირადი საქმეები ინახება სკოლის კანცელარიაში ჩაკეტილ სივრცეში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.
სკოლაში დირექტორის ბრძანებით ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი, მანდატური, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი, ადმინისტრაციული და საკანცელარიაო საქმეთა მენეჯერი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომები, როცა განიხილავენ სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციასა და რეკომენდაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
მანდატურის სამსახურსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულება
საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან
სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შეთანხმების წერილი
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ
დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი“
დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის დებულება
IT მენეჯერთან დადებული ხელშეკრულება
მრჩეველთა საბჭო

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

2024 წლის 27 თებერვლის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსი“ მდებარეობს ქალაქ თბილისში, გრიშაშვილის 51-ში. მის საკუთრებაშია 4683 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 01.18.04.011.014), რომელზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობები (№1, №2, №3, №4, №5-2619,6 კვ.მ., №6- 6,4კვ.მ., №7-14,03 კვ.მ.). შენობა 4-სართულიანია: ნულოვანი და 3 სართული. შენობის სამ სართულზე განლაგებულია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით, სხვა აუცილებელი მატერიალური რესურსით აღჭურვილი 24 საკლასო ოთახი. გარდა ამისა, ნულოვან სართულზე სააქტო დარბაზია, ბიბლიოთეკა საცავით, ოთახი დირექტორის მოადგილის არაფორმალური განათლების მიმართულებით, დარაჯისა და კონტროლიორის ოთახები, გასახდელი. პირველ სართულზე-საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი და სამასწავლებლო. მეორე სართულზე - კომპიუტერული

ლაბორატორია და ხელოვნების კაბინეტი წრისათვის, მესამე სართულზე-დირექციისა და ადმინისტრაციის ოთახები, კანცელარია. ეზოში - მცირე სპორტული დარბაზი, რესურსოთახი და სასადილო.
სამივე სართულზე არის სველი წერტილები გოგონებისა და ბიჭებისათვის. სკოლის ეზოში არის სარეკრიაციო ზონები, ღია სპორტული მოედანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

მოსწავლეებისთვის სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის სკოლის შენობაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დიდი და ფართო დერეფნები, ეზო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი სცენით, ბიბლიოთეკა), რომლებითაც სარგებლობის საშუალება აქვს სასკოლო საზოგადოების წევრებს. სკოლაში მოქმედებს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, რომელშიც გაწერილია სასკოლო სივრცეების გამოყენების წესები. სკოლის ინფრასტუქტურის სივრცეები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც გაწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და პროცედურები. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ ასოციაცია მეცნიერებისათვის საბიბლიოთეკო სისტემის OpenBiblio-ს ინსტალაციისა და თანამშრომელთა ტრენინგისათვის. ბიბლიოთეკაში არის ელექტრონული და მატერიალური კატალოგი. ბიბლიოთეკარს არის ფორმულარები, რომლითაც ხდება სახელმძღვანელოებისა და მხატვრული ლიტერატურის გაცემა მოსწავლეებსა და მასწავლებლებზე. ბიბლიოთეკარს აქვს სარეგისტრაციო ჟურნალი, სადაც გატარებულია მხატვრული ლიტერატურა, დანომრილია საინვენტარო ნომრით. სულ ჟურნალში გატარებულია 8872 წიგნი.

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის ხელმისაწვდომია სკოლის სასკოლო სივრცეები. მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით. სკოლა აღჭურვილია ინკლუზიური ინფრასტრუქტურით: ქუჩიდან სკოლის ეზოში შესასვლელად არსებობს მოძრავი პანდუსი, ეზოდან სკოლის შენობაში მოხვედრა შესაძლებელია ორი კარით: ერთი კარით ნულოვან სართულზე, ბიბლიოთეკაში, შესასვლელად

დამონტაჟებულია პანდუსი და მეორე კარით შენობის პირველ სართულზე ასევე პანდუსით. ამავე სართულზე მდებარეობს ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლისათვის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი. ეზოში-სასადილო, რესურსოთახი და მცირე სპორტული დარბაზი. ამდენად, საჭიროების შემთხვევაში, ეტლით მოსარგებლეს შეეძლება დაუბრკოლებლად გაადგილება სკოლის სივრცეებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში, სკოლამ შენობის პირველ სართულზე უნდა ჩამოიტანოს კომპიუტერული ლაბორატორია.

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომია. მოსწავლეებს შეუძლიათ სკოლაში არსებული რესურსების გამოყენებით სხვადასხვა სპორტული და კულტურული აქტივობების, შეხვედრების, თამაშების დანერგვა. სკოლას ჰყავს არაფორმალური განათლების მიმართულებით დირექტორის მოადგილე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხელშეკრულება

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

ბიბლითეკის დებულება

სკოლასა და აა(ი)პ ასოციაცია მეცნიერებისათვის შორის დადებული ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სასწავლო პროცესში ადმინისტრაციული საქმიანობისას აქტიურად გამოიყენება ტექნოლოგიები. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 11 კომპიუტერი. კომპიუტერები განთავსებულია ასევე სამასწავლებლოში, ადმინისტრაციის წევრთა კაბინეტებში, ბიბლიოთეკაში. და სხვადასხვა ტექნიკა. სკოლას გააჩნია სულ 38 კომპიუტერი, აქედან: 14 პერსონალური კომპიუტერი, 24 ლეპტოპი, 30 პროექტორი, 12 პრინტერი. სასკოლო საზოგადოების მიერ აქტიურად ხდება სკოლის სოციალური ქსელის, ელექტრონული ფოსტის, მართვის საინფორმაციო სისტემის, Zoom-ის პლატფორმის, ელექტრონული ჟურნალი Schoolbook-ის გამოყენება. კომპიუტერულ ლაბორატორიას სასკოლო საზოგადოება იყენებს როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას, რაც ხელს უწყობს პროცესების სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა. სკოლა უზრუნველყოფილია ინდივიდუალური კომპიუტერებით, რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ საჭიროებისამებრ, გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. ასევე, სკოლაში განთავსებულია პროექტორები, რომელთა გამოყენებაც სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მასწავლებლებს. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობენ მოსწავლეებიც სასწავლო მიზნებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, სადაც გათვალისწინებულია რესურსების გამოყენება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კანონმდებლობის შესაბამისი საქმიწარმოების წესი. საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე: შემოსული დოკუმენტაციის (წერილი, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; გასული დოკუმენტაციის (წერილი, ცნობა, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; შიდა დოკუმენტაციის (სამსახურეობრივი ბარათი, ახსნა–განმარტება, ბრძანება, ბრძანების ამონაწერი, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები) აღრიცხვა; მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეების წარმოება. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონულად, რაზეც პასუხისმგებელია ადმინისტრაციული და საკანცელარიო საქმეთა მენეჯერი. ელექტრონულ ფოსტაზე ან მატერიალურად შემოსული წერილები ამოიბეჭდება და ტარდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში.

პირადი საქმეების, ხელშეკრულების აღრიცხვის სარეგისტრაციო ჟურნალი დანომრილია, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, რითაც სანდოობა და მთლიანობა არის უზრუნველყოფილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს SCHOOL MS-ის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას. სისტემის გარდა, სკოლის მართვაში ასევე გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, კერძოდ: eSchool.emis.ge, office 365; ელექტრონული ჟურნალი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი,

სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა მოთხოვნილ ვადებში პასუხობს ყველა წერილს, რომელიც სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებიდან შედის. მაგალითად ანგარიში ვაუჩერის ხარჯვის შესახებ, მედალოსნების შესახებ ინფორმაცია, საფეხურის დასრულების შესახებ ინფორმაცია და ა.შ.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; სკოლის ოფიციალური ვებგვერდის მისამართია: https://www.schoolintellectplus.ge, სოციალურ ქსელში კი: https://www.facebook.com/schoolintellect/?locale=ka_GE. სკოლის სხვა საკომუნიკაციო საშუალებებია: ელექტრონული ფოსტა და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლისთვის მნიშვნელოვანია მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სწორი ინფორმაციების გავრცელება. ამ მიზნით სკოლას განსაზღვრული ჰყავს პირი, რომელიც დაწესებულების სახელით ავრცელებს შესაბამის ინფორმაციას. კლასის დამრკიგებლები თავიანთ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებში ავრცელებენ სათანადო ინფორმაციას მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს და წარმოადგინეს მტკიცებულებები იმისა, რომ საკომუნიკაციო არხებიდან: ელექტრონული ფოსტა, დახურული სოციალური ქსელის ჯგუფები შემოსულ ინფორმაციას აანალიზებს და ამის საფუძველზე გეგმავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლის ვებგვერდი ორენოვანია. მასზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ და რუსულ ენებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია

(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ყველა ის ინფორმაცია, რომლებსაც განსაზღვრავს სტანდარტი, სკოლის ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

https://www.schoolintellectplus.ge

https://www.facebook.com/schoolintellect/?locale=ka_GE

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლის წყაროებია: მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადახდილის სწავლის საფასური, სახელმწიფოს მხრიდან ვაუჩერული დაფინანსება, იჯარიდან და ფასიანი წრეებიდან შემოსული თანხები. არსებული ფინანსური რესურსით სკოლა გასცემს ხელფასებს, იხდის კომუნალურ ხარჯებს, შეისყიდის სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებს, კათედრების მიერ მოთხოვნილ სასწავლო რესურსებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის სვეტში-რესურსები ნაგულისხმევია სკოლის ბიუჯეტის თანხა, რომლებიც საჭიროა გეგმით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად. გეგმის სვეტში-არსებული რესურსი-იგულისხმება სკოლის ბიუჯეტის თანხა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლის დირექტორთან და დირექტორის მოადგილესთან ფინანსურ საკითხებში დირექტორთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლის ბიუჯეტი დგება კათედრების ინიციატივებისა და წინადადებების საფუძველზე, სხვადასხვა სახის რესურსების მოთხოვნა წარედგინება დირექტორს. ასევე ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მოხსენება ფინანსური ანგარიშის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
2. სკოლის ბიუჯეტი 2025
3. საგნობრივი კათედრების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა შიდა რეგულაციების მეშვეობით უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და შესაბამისი გარანტიების რეალიზებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესი განსაზღვრავს სასკოლო ცხოვრების მარეგულირებელ ძირითად ნორმებს, მათ შორის: ზოგად დებულებებს, სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, მოსწავლეთა წახალისების წესს, დისციპლინური დევნისა და პასუხისმგებლობის სახეებს, დისციპლინური სახდელების დაკისრების წესს, მოსწავლის მატერიალურ პასუხისმგებლობას, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესს, ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზების მარეგულირებელ ნორმებს. მოსწავლის, მშობლისა და კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომელიც განსაზღვრავს ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, სასწავლო

და დასვენების პერიოდებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და შეწყვეტის წესს, ასევე დავის გადაწყვეტის მექანიზმებს. ადგილზე შემოწმებით დასტურდება, რომ აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებულია, დადასტურებულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით და შეიცავს მხარეთა სავალდებულო რეკვიზიტებს. ასევე სკოლის დირექტორის 2025 წლის 12 დეკემბრის N 2-55/4 ბრძანებით დამტკიცდა შპს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსში“ განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. სკოლის დირექტორის 16.12 2024 წლის 2-31და 12.12.2025 წლის 2-55/3 ბრძანებებით შეიქმნა სკოლის დისციპლინური კომიტეტი, რომელშიც შედიან სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების წარმომადგენლები. სკოლის დირექტორის 2024 წლის 09 დეკემბრის N 2-28/2 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები: შინაგანაწესი, ქცევის წესები, მოსწავლეთა ჩარიცხის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი, სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და სხვა შიდანორმატიული აქტები, რომელიც უზრუნელყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციას, საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. ის განთასებულია სკოლის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს შეუზღუდავ წვდომას აღნიშნულ დოკუმენტებზე. მოსწავლეებთან ინტერვიუთი დადასტურდა, რომ ისინი იცნობენ კანონით გათვალისწინეულ საკუთარ უფლებებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია გამჭვირალე და მკაფიო ხელშეკრულება, სადაც გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
3. სკოლაში დასაქმებულ პირთა, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლიების და მოსწავლეთა მიემართ სკლის დირექციის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები;
4. ვებ-გვერდი.
5. სკოლის დირექტორის 2025 წლის 12 დეკემბრის N 2-55/4 ბრძანება განცხადების/საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე.
6. 12.12.2025 წლის 2-55/3 ბრძანება სკოლის დისციპლინური კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით.
7. სკოლის დირექტორის 2024 წლის 09 დეკემბრის N 2-28/2 ბრძანება სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე.
8.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის მობილობის, კლასის და საფეხურის დაძლევის წესი. წესში გაწერილია მკაფიო მექანიზმები კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. პირველ კლასში ჩარიცხვის ბრძანებებითა და სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღება ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში რეგისტრაციისა და კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ, მოსწავლეთა მობილობა ხორციელდება კანონმდებლობის დაცვით, სტატუსის შეჩერების შემთხვევაში წარმოდგენილია მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების განცხადებები და განხორციელებულია კანონით მოთხოვნილი ნორმების დაცვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და მათი სპეციფიკა, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია გაწერილია სკოლის შინაგანაწესში და სხვა მარეგულირებელ აქტებში. აღნიშნული დოკუმენტები განთასებულია სკოლს ვებგვერდზე, შესაბამისად, ის საჯაროდაა ხელმისაწვდომი. გარდა აღნიშნულისა, დამრიგებლების მიერ ხდება მშობლებისა და მოსწავლეებისათის ინფორმაციის მიწოდება, როგორც სკოლის მარეგულირებელ ნორმებზე ასევე წლის განმავლობაში გამოცხადებული ან/და სკოლის მიერ ორგანიზებული კონკურსების, ოლიმპიადების და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. ინფორმაციაზე ხელმისაწდომობა დაადასტურეს ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა და მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს როგორც ოფიციალურ ვებგვერდს, ასევე სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდს. აღნიშნული არხებით რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სასწავლო პროცესის, სკოლის ინიციატივების, პროექტებისა და საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. ვებგვერდისა და სოციალური ქსელის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლის მიერ განთავსებული მასალები შეიცავენ სანდო, დროულად განახლებულ და ობიექტურ ინფორმაციას. სკოლის მიერ ბრძანებით განსაზღვრულია ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მართვის გამჭვირვალე, ორგანიზებულ და სამართლებრივად დასაბუთებულ პროცესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

2. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესში ცვლილების შესახებ ბრძანება
3. Eschool -ის ბაზის რეესტრი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**.

სკოლას შემუშვებული აქვს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეს სასწავლო პროცესსა და სასკოლო გარემოსთან სწრაფად და წარმატებით შეგუებაში. დოკუმენტში განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები და აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ხელს უწყობენ როგორც პირველ კლასში ჩარიცხულ, ისე მობილობით ან აღიარებით სკოლაში ჩარიცხულ მოსწავლეთა სწრაფ და წარმატებულ ადაპტაციას სასწავლო

გარემოსთან. მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან ინტერვიუების პროცესში, ასევე სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კონკრეტული ღონისძიებების ამსახველი მასალის ანალიზის შედეგად, შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ დოკუმენტაციაში გაწერილი მექანიზმები თანხვედრაშია განხორციელებულ აქტივობებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ადაპტაციის სისტემა, რომელიც იწყება სწავლის პირველივე დღიდან. ბაღის აღსაზრდელებს შესაძლებლობა აქვთ წინასწარ, სწავლის დაწყებამდე გაეცნონ სკოლის ინფრასტრუქტურას, ხოლო მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს დამრიგებელი აცნობს შინაგანაწესს, სკოლაში დამკვიდრებულ ქცევის დამრიგებლის მუდმივი კომუნიკაცია ახალ მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან საშუალებას აძლევს სკოლას ადრეულ ეტაპზე გამოავლინოს მოსწავლის საჭიროებები და საჭიროების არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოს დროული მხარდაჭერა. მოსწავლეებისა და მშობლების (მათ შორის მობილობით გადმოსული მოსწავლეებისა და მობილობით გადმოსული და პირველი კლასის მშობლების) შეფასებით, სკოლაში შექმნილია ხელშემწყობი, მეგობრული და მხარდამჭერი გარემო, რაც ადასტურებს ადაპტაციის ეფექტურობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა მოსწავლეს და მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) ინდივიდუალურად აწვდის მოსწავლის შესახებ განმავითარებელ შეფასებას. ასევე მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება ხელმისაწვდომია,

როგორც მოსწავლისთვის ასევე მისი მშობლისათვის ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. საჭიროების შემთხვევაში, საგნის მასწავლებლები სხვადასხვა საკონსულტაციო შეხვედრას მართავენ მოსწავლეებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას განათლების ექსტერნატის ფორმით მიღების შესაძლებლობების, აგრეთვე სემესტრული ნიშნის ამაღლების მიზნით სემესტრული გამოცდების ჩატარების პირობების შესახებ. აღნიშნული საკითხები ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომლის გაცნობის ვალდებულება ეკისრებათ დამრიგებლებს. ამასთან, სკოლა აწვდის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ინფორმაციას მობილობის პროცესში მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ განსახორციელებელი აქტივობებისა და მობილობასთან დაკავშირებული შეზღუდვების შესახებ. სკოლას გაწერილი აქვს ადმინისტრაციული წარმოებების განხორციელების კანონმდებლობით დადგენილი ვადები, ხოლო შესაბამისი ინფორმაცია და საჭირო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია სკოლის ფოიეში. მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერი წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი კმაყოფილები არიან სკოლის მხრიდან გაწეული ადმინისტრაციული მხარდაჭერით და მიიჩნევენ, რომ სკოლა მათ დროულად და სრულყოფილად აწვდის ინფორმაციას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზების მიზნით.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეებს გონივრულ და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას და უზრუნველყოფს მათი უფლებების რეალიზებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა სწავლა-სწავლებისა და აღზრდის პროცესს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება, რაც მოსწავლეთა ინდივიდუალური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია. სკოლა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის, შესაბამისი საგნის მასწავლებლების, მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების განხორციელებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის წესი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს, მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერის, მიღებისა და ხელშემწყობ მექანიზმებს. გარდა ამისა, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა კლუბს, როგორიცაა ლიტერატურული კლუბი, მუსიკალური კლუბი, სპორტული კლუბი, სახელმწიფო ენის ფაკულტატური საათებს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ინიციატივების ყუთი, რომელიც განთავსებულია სკოლის ფოიეში და ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოათავსოს მის მიერ დაწერილი ინიციატივა თუ საკითხი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში მოქმედ კლუბებს შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის კითხვარი, ასევე მოქმედებს ინიციატივების ყუთი, აღნიშნული მიდგომა ადგენს მოსწავლის საჭიროებებს და შემდეგ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს ანალიზს და აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ფსიქოლოგის სამუშაო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი;
2. მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი;
3. ელექტრონული ჟურნალი;
4. მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერის წესი;
5. კითხვარი მოშობელთათვის და მოსწავლეებისათვის.;
6. პროგრამა ქართულ ენაში, ფაკულტატური;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა X და XI კლასებში მოსწავლეებს სთავაზობს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილებს. სკოლას შექმნილი აქვს შესაბამისი მიმართულებით გაკვეთილების თემები, აქტივობები, პასუხისმეგელი პირები და განხორციელების ვადები. გარდა ამისა, სასწავლო წლის განმავლობაში სკოლა გეგმავს და ახროციელებს მოსწავლეთა ვიზიტებს სხვდასხვა დაწესებულებაში. აღნიშნული მიმართულებით მუშაობენ კლასის დამრიგებლები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

გასაუბრებების შედეგად მოსწავლეებმა, სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა და მშობლებმა დაადასტურეს, რომ სკოლა ორგანიზებას უწევს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს, რაც მიზნად ისახავს მოსწავლეთა მხარდაჭერას მომავალი პროფესიის გააზრებულად შერჩევის პროცესში. მონაწილეთა განცხადებით, აღნიშნული შეხვედრები ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფესიულ თვითგამორკვევას და რიგ შემთხვევებში ვიზიტების შემდეგ მოსწავლეები იღებენ გადაწყვეტილებას მომავალი პროფესიის არჩევის შესახებ. აღნიშნული საქმიანობის დასტურად სკოლამ წარმოადგინა სსიპ კოლეჯ სპექტრთან 18.11.2025 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, პროფორიენტაციის მიზნით ჩატარებული ღონისძიებების განრიგი, სადამრიგრბლო პროგრამები, ანგარიშები, ფოტო მასალა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა პერიოდულად ატარებს მოსწავლეთა გამოკითხვას, აანალიზებს გამოკითხვის შედეგებს და პროფორიენტაციის მიმართულებით პროგრამას გეგმავს გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მე 10 კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმა

2. IX და XI კლასებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი
3. რეფლექსიები
4. მემორანდუმი სსიპ კოლეჯ სპექტრთან
5. ექსკურსიების და შეხვედრების ამსახველი ფოტოები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი“. დოკუმენტი აღწერს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების ადრეული გამოვლენის, პირველადი სირთულეების მართვის, მულტიდისციპლინური გუნდის ეფექტური თანამშრომლობისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავებისა და განხორციელების ერთიან პროცესს. სკოლაში მოქმედებს სსსმ მოსწავლის შეფასების, მხარდაჭერისა და მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს: სირთულეების ადრეულ იდენტიფიცირებასა და პირველადი მართვის წესებს, მულტიდისციპლინური გუნდისთვის მიმართვის წარდგენას, გუნდის დასკვნაზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებასა და პერიოდულ გადახედვას, მოსწავლის პროგრესისა და შედეგების მონიტორინგს, საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას, სპეციალისტთა ჩართულობასა და დამატებითი მეცადინეობების ორგანიზებას, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგსა და შესაბამის ანგარიშგებას. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებებზე სათანადო რეაგირებას, მათთვის ხელმისაწვდომი, მხარდაჭერილი და ინდივიდუალურად მორგებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს: სსსმ მოსწავლის განმარტებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ეტაპებსა და ვადებს, ისგ ჯგუფის

ვალდებულებებს, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების პრინციპებს, შინსწავლის განხორციელების წესს. სკოლაში ვიზიტის განხორციელების პერიოდში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლის მიერ განსაზღვრული სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები ეყრდნობა სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიონდში სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები;
3. Eschool-ის ელექტრონული ბაზა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას აქვს იჯარის ხელშეკრულებები კვების ობიექტის და სპორტული სტადიონის გაიჯარების შესახებ. კვების ობიექტი მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას აქვს შიდა რეგულაციები კვების ობიექტის ინტენსიური მონიტორინგისთვის. დირექტორის ბრძანებით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, შემუშავებულია შესაბამისი კრიტერიუმები, წარმოდგენილია აქტები. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს კანონის შესაბამისად ორგანიზებული წრეები (ხატვის, მუსიკის).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო მომსახურება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, რაც მოსწავლეებთან ჩატარებული გასაუბრებით დადასტურდა. მათი განმარტებით, კლუბებში და წრეებში გაწევრიანება ხდება სურვილის გამოხატვის შემდეგ. ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მშობლების განცხადებებს, ხელშეკრულებებს და საიჯარო დოკუმენტაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების იმ არსებული ნორმების დაცვით, რომელიც აქვს სკოლას განსაზღრული შიდა რეგულაციებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. იჯარის ხელშეკრულებები
2. წრეების შექმნის ბრძანებები
3. მშობლების განცხადებები
4. კვების ობიექტის მონიტორინგის ბრძანება
5. კვების ბლოკის მონიტორინგის აქტები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 20.01.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: